

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ ფ.პ „ლია ოყროშიძე“, შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 20 ერთეული სურათის ჩარჩოს შესყიდვა. (CPV39298200).

**2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება**

2.1. საქონლის მიწოდების ვადა არაუგვიანეს 2016 წლის 29 დეკემბრისა.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა -302 ლარი.

**3. ანგარიშსწორება**

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

**4. მხარეთა უფლება – მოვალეობები**

4.1 „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

**5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას**

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 საქონლის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

**6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა**

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

**7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**8 ფორს – მაჟორი**

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.  
9.2 თუ „მომწოდებელი“ და „შემსყიდველი“ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.  
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.  
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმწვერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ვია ბროძელი.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი“

„შემსყიდველი“

ფ.პ „ლია ოყროშიძე“  
პირადი N18001059145  
ბანკი: „საქართველოს ბანკი“-ს  
ბ/კ BAGAGE22  
ა/ა GE57BG0000000736736900  
მის: მცხეთა, ღვინჯილიას ქ. N3

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა  
ს/კოდი: 236098824  
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა  
ბ/კ TRESGE22  
ა/ა GE24NB0330100200165022  
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

ფ.პ

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ლ. ოყროშიძე

